სახალხო გაზეთი

№ 539 პარასკევი, 2 მარტი, 1912 წ. № 539

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბრეჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაბეჭდება. [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 10 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან 5 კ.**
„ „ თვეში — 75 კ. **დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ILUSTRATEGIANI DAMATEGA!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
„გრდემლი
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.20)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა

გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

(20—1125—8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადისტანციო ავადმყ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშინაო ავადმყ. ქალ. (ქირურგიული).	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ავადმყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ. ავადმყ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კანის ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermanრჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კრასულიუში, შარდის ბუშტისა და მილების კაკეტერიზაცია; **„ნ ი ნ" წამლის** შეშხაპუნება. ელექტროსით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—282)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლოგა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა
ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—103)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—54.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ახალი კლუბი

დღეს 2 მარტს, პარასკევს, 1912 წ. **იაფი ლოტო.**

შაბათს, 3 მარტსავე **გ. ბ. გვაზავა** წაიკითხავს ქართულ ენაზე ლექციას

„საზოგადოება, როგორც ორგანიზმი"

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. თეატრში შესვლა ლექციის მოსასმენად უფასოა. კლუბში შესვლის ფასი ჩვეულებრივია. ლექციის შემდეგ

ლ ო ტ ო. (1—1119—1)

სახაზინო თეატრი

პარასკევს 2 და შაბათს 3 მარტს 1912 წ.

პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი პ. ს. პოგანი

წაიკითხავს ორს ლექციას: პარასკევს, 2 მარტს **პირველი ლექცია:**

—ქალთა საკითხი—

საზღვარ-გარეთისა და ჩვენს მწერლობაში. 1. ქალთა გაძღოლა საფრანგეთში მე-18 საუკ. დასასრულს. ქალთა ემანსიპაციის მოძრაობა და მოწინააღმდეგენი კონდარსე, ოლიმპია დე-გუჟ. 2. სამეწველო ცვლილებათა და სამეცნიერო ცოდნათა განვითარების გავლენა ქალთა მოძრაობაზე. ჟორჟ ზანდი, მალზაკი და მისი „ოცდაათის წლის დედა-კაცი". 3. მოდერნიზმი და ქალი. იბსენი. მეტეერლინკი და ფშიბიშევსკი. 4. სოციალიზმი და დედა-კაცი. 5. დედაკაცის მდგომარეობა დღეს დასავლეთსა და რუსეთში. 6. რუსეთის მწერლობა და დედა-კაცი. ტურგენევი და ტოლსტოი. მწერალ ქალთა საკითხი: ნეკრასოვის დედაკაცები. 7. დედა-კაცი თანამედროვე რუს. მწერლობაში. 8. ქორწინების საკითხი და ბავშვთა აღზრდა. 9. მომავლის პერსპექტივა.

შაბათს 3 მარტს **მეორე და უკანასკნელი ლექცია: ჰამლეტი**

და მისი დადგმა საწარმოო ძველსა და ახალ თეატრებში საზოგადოდ.

„ახალი" თეატრი. რა მიზანი დაისახა წინანდელ თეატრთან შედარებით. დრამა უმოქმედოდ და მოქმედება დრამაში. შინაგანი დრამა, სტილიზაცია. ჩეხოვის მიერ მოძღვნილი სათეატრო რეფორმა. მოდერნიზმი და თეატრი. ფშიბიშევსკისა და მეტეერლინკის აზრი თეატრზე. სამხატვრო თეატრმა სად მიატოვა ზეშთაგონება და რად მიჰმართა კლასიკურ რეპერტუარს, და დასდგა: „ვაი ჭკუისაგან", „რევიზორი", „ჰამლეტი", „პატარა" მსახიობზე, „პატარა" რეჟისორზე და „დიდებულ" საზოგადოებაზე. რა არის ჰამლეტი და მისი აზროვნება. რად იწვევს ასეთს დაუსრულებელს განმარტებას. გიოტეს მიერ, მოხდენილი ცვლილება ჰამლეტის გაგებაში. დანიის პრინცის პროგვნებაზე დაკისრებულ საკითხის აზრი და მისი წარმოშობის მიზეზები. რომელ ხანაში ახლდება ხოლმე ინტერესი. „ჰამლეტი" და „მუდმივ" ტიპთა მიმართ. რას მოასწავებს ამ პიესის დადგმა. მწერლობისა და თეატრის მახლობელი მომავალი. შექსპირი, ტოლსტოი და მათის დავლურის მნიშვნელობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. საშეგირდო ბილეთი 50 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—წარმოდგენის დასრულებამდე.

ანონსი 23 და 27 თებერვალს ლექციები **ბაქოში,** 28 თებერვალს—განჯაში, 29 თებ. და 1 მარტს—**ქუთაისში.** 5.1115.4

მარტის პირველ რიცხვებიდან

კვლავ გაიხსნება

ფართედ დაყენებული

კაფე-პარიზი

ქართველთა თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა.

(თ.—1132.3)

სავაჭრო სახლი

ლ. და ვ. მეტცლი და ამხ.

განცხადებათა ცენტრალური განყოფილება

(1878 წ. დაარსებული)

მოსკოვში

ვარშავაში, პეტერბურგში, ვილნოში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, ბუფალოში.

ამით აცხადებს

რომ მთელ ქვეყნის გამოცემებისთვის

ხელის-მოსაწერად და განცხადებებისთვის გახსნა თავის კანტორის განყოფილება

ქალაქ ლოძში.

პეტროვის ქ., 102. (10— 130—3)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 248)

ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი". (თ.—1129—5).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—1)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბეიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეიკრებდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.101)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეორიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა: ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა 606 -

(წლ. 1090 285)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 საღამოს 5--7. (25.1045-58)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა. კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—107).

ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—13)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 89).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 117)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ჰ. ა. ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—37)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

სახელმწიფო სათათბირო

დეკეშები

ჯერ კაპუსტინი თავმჯდომარეობდა, შემდეგ თ-დი ვოლკონსკი. განაგრძეს საზოგადო კამათი ხარჯთაღრიცხვის თაობაზე.

შინგარიოვი. ხუთის წლის განმავლობაში მხოლოდ დაუსრულებელ კამათს მოუნდა სათათბირო. იგი სცდილობდა ცოტათი მაინც შეეკეთებინა საბიუჯეტო წესდება, მაგრამ ამას ფინანსთა მინისტრი ეწინააღმდეგებოდა. სახელმწიფოს ხარჯის კანტროლის საქმე ძალიან ცუდად არის. კერძო სარკინისგზო საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული და კერძო გზები სახელმწიფოს ზარალს აძლევენ.

შინგარიოვის აზრით ჩვეულებრივისა და განსაკუთრებულ ბიუჯეტის შეერთებას შეუძლიან ბიუჯეტის ნამდვილი სურათის წარმოდგენა. შემოსავლის მომატება ბუნებრივად ვერ ჩაითვლება, რადგანაც უკანასკნელ 5 წელიწადში გადასახადებს 35 მილ. მოუმატეს.

შემდეგ შინგარიოვმა აღნიშნა, არა პირდაპირი გადასახადი ორჯერ მეტია პირდაპირზეო. აღნიშნა აგრედვე ხარჯის არაჩვეულებრივი ზრდა.

განათლების სამინისტროს ხარჯის გადიდება მთავრობის კი არა, სათათბიროს ბრალიაო. შემდეგ შინგარიოვი შეეხო სარკინისგზო უწყებას და მისი ცუდი მდგომარეობა აღნიშნა. სათათბიროს ხელი შეუწყო საზღვაო და სამხედრო სამინისტროსათვის ფულის გადადებით უკანტროლო ფულის ხარჯვას. ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავლის დაკლება კარგი ნიშანია: ალბად უწყებამ შეიგნო, რომ საჭიროა ხალხისათვის საქმის კარგად მოწყობა და არა მოგება. ორატორმა ბოლოს ბევრი მაგალითი მოიყვანა, რომ შიმშილით დაზარალებულთ დროზე არ დაჰხმარებიან. აღნიშნა აგრედვე მრეწველობის უმწეო მდგომარეობა. შემნახველნი კასები მხოლოდ რენტის სყიდვაში არიან გართულნი და წვრილ კრედიტს ხელს არ უწყობენ.

შემდეგ შინგარიოვი შეეხო საერთო პოლიტიკას. რუსეთი რეფორმებს ელოდა და ვერაფერი მიიღოო. შინგარიოვი 3 საათსა და 10 წუთს ლაპარაკობდა.

როჟკოვი აღნიშნავს, ბიუჯეტის ციფრები ხალხის უმწეო მდგომარეობას არ ეთანხმებაო. მესამე საათბიროს არა მიუცია რა ხალხისათვის და იგი მარტო თავის თავს უნდა მიენდოსო (მემარცხენეთა ტაში).

პოკროვსკი აღნიშნავს, მინისტრმა ობიექტიური ფაქტები დაასახელა, რის შესახებაც კამათი შეუძლებელიაო. მართლაც მინისტრის საფინანსო პოლიტიკამ მთავრობის მდგომარეობა გაამაგრა. ეს ნებას აძლევს მთავრობას რამდენიც უნდა იმდენი დახარჯოს ჯარის გაძლიერებლად. ეხლა არაფრისა უნდა ეშინოდეს მთავრობასა. ფული ბლომად აქვს და შეუძლიან გასეირნება შაჰად ნამყოფისა და ხუტუტას კავშირით დაიწყოს. ეს გარემოება მთავრობის დამქაშებს ძალიან უხარიანთ. მაგრამ ხალხის კეთილდღეობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ საგანს, დავინახავთ, რომ მინისტრის პოლიტიკა დამღუპველია მე-20 საუკუნისა და ისეთ დიდ სახელმწიფოსათვის, რანაირიც რუსეთია. ამ პოლიტიკის წყალობით რუსეთი მე-20 საუკუნეშიაც უკულტურო, გაუნათლებელ და წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს წარმოადგენს.

ხალხს ეჭირვება ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც შესძლებს ბიუჯეტის ძირიან-ფესვიანად შეცვლას და ხალხს გაანთავისუფლებს ზედმეტ გადასახადებისაგან. მაგრამ ამას ვერ შესძლებს 3 ივნისის სათათბირო, ამას მხოლოდ რუსის ხალხის მიერ გამოგზავნილნი წარმომადგენელნი მოახერხებენ.

ეროპკინი აღნიშნავს, ხუთის წლის განმავლობაში ოქტომბრისტებს ერთი საბიუჯეტო პროგრამა ჰქონდათ და მისთვის არ ულილატნიათ. ამ პროგრამაში პირველი ალაგი უჭირავს სახელმწიფოს დაცვას, ხალხის განათლებას და მიწათა მოწყობას. შემდეგ მოლაპარაკე შეეხო საბიუჯეტო კომისიის მოქმედებას და აღნიშნა, სახელმწიფოს შემოსავლის ანგარიშის საქმეში კომისიის როლი პასიურია, კომისიას არ ძალუძს გადასახადების შეცვლაო. ამ საქმის რეფორმა უნდა შეადგენდეს საფინანსო ზრუნვის საგანსა. დაგვიანების გამო ეროპკინმა სიტყვის დათავება ხვალამდე გადასდო.

საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომაზე როძიანკო თავმჯდომარეობდა.

განსახილველ საგანთა შორის არის საკანონმდებლო მოსაზრება ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმებისა.

განაგრძეს სტუდენტების არეულობისთვის უნივერსიტეტიდან დათხოვნის გამო მინისტრის მიერ მოცემულ განმარტების განხილვა.

კაპუსტინს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება პროფესორები წესიერებისა და კანონის პატივმცემლებად არ ჩავთვალოთო. მოლაპარაკე აღნიშნავს, მე სწორედ ეს პროფესორი ვარ, რომელთაც ფედდფებლობა არ მოინდომეს, მაგრამ უნივერსიტეტში რევოლუციონურ აზრების გავრცელებას ყოველთვის ვებრძოდითო. სტუდენტობაც ხომ რუსეთის საზოგადოებაა. იგი იმაზე კარგია და არც ცუდი. მათ გასამართლებაში არც სამართალი ყოფილა და არც მოწყალება (მემარცხენეთა და ცენტრის ნაწილის ტაში)

ბარონი ჩერკასოვი მინისტრის მოქმედებას სრულიად ამართლებს. სტუდენტობის სრულწლოვანად აღიარება შეუძლებელია, დიდი შეცდომა იქნება. ბოლოს ორატორი მოითხოვს შეკითხვის უარყოფას.

მაკლაკოვი. 27 აგვისტოს გამოცემულ უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ ბრძანებისა და 17 ოქტომბრის შუა დიდი მაგავსებაოო. მთავრობა უნივერსიტეტის ავტონომიას ისევე ებრძვის, რანაირადაც სცდილობს 17 ოქტომბრის მანიფესტის მოსპობას. მოლაპარაკე შეეხო პროფესორების განდევნას და სთქვა: რა სარგებლობა მოიტანა მინისტრის პოლიტიკამაო. განა სერიოზულად შეიძლება ლაპარაკი სწავლის შეუწყვეტლობის თაობაზე? მინისტრის პოლიტიკამ შერცხვენის დაღი დაასვა მემარჯვენე პროფესორებსა და სტუდენტებს და მოსყიდულობის ელფერი მისცა. მერე რისთვის ჩაიდინეს ყველა ეს? მთავრობის სახელისათვის? მაგრამ ორი ძალაც ხომ ორია: ერთი ეკუთვნის გამარჯვებულსა და განიზომება მისგან მიყენებულ ბოროტებისა, გადაბუგულ სოფლებითა და მოკლულთა ცხედრებით. მეორეა ძალა არა გამარჯვებულისა, არამედ მმართველისა, რომელიც კი არ ანგრევს, ჰქმნის (ტაში მემარცხენეთა).

ობრაზცოვი აღნიშნავს, ყველაფერი უცხოეთში მყოფ რევოლუციონერთა ჯგუფებისა და პროფესორების ბრალიაო. ვიდრე უნივერსიტეტში უღირსი პროფესორები და უღირსი სტუდენტობა იქნება, მანამდე სტუდენტთა მოძრაობა არ მოისპობაო.

საპირადოს გამო ილაპარაკა და მაკლაკოვს უპასუხა **პურიშკევიჩმა.**

შემდეგი სხდომა ხუთშაბათს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **პანაშვიდი.** გუშინ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს მოწამებრივ გარდაცვლილ მეფის ალექსანდრე განმანთავისუფეველის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს ექსარხოსმა ტფილისში მყოფ ეპისკოპოსებისა და არქიმანდრიტების თანამწირველობით. დაესწრნენ კავკასიის ნამესტნიკი თავის მეუღლით და სხვა უმაღლესი წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო წოდებისა.

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა შუამდგომლობა აღძრა,** რათა 31,700 მან. გადაიდოს ბათომში ზღვის ნაპირის შესამაგრებლად და 5,000 მან. ბათომის გიმნაზიის დასაცავად წყალისაგან.

✦ **ნამესტნიკმა ნება დართო.** კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ ივანე საათაშვილის **პიესები** „ფულისთვის“ და „ორ ცეცხლ შუა“.

✦ ამას წინად გავრცელებული ხმები, **კავკასიის ნამესტნიკი თანამდებობიდან გადადგომას აპირობსო,** სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა.

✦ გუბერნატორმა ნება დართო დედათა მეორე გიმნაზიის დირექტორს, 5 მარტს საარტისტო თეატში საქველმოქმედო **წარმოდგენა** გამართოს ხსენებულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს** სამსახურის ვადა გაუთავდა. ამიტომ 12 მარტს ახალი წევრის არჩევა მოხდება. ამ თანამდებობის, კანდიდატად კვლავ თავ. არღუთინსკის ასახელებენ.

✦ **ქალაქის საბჭოს ხმოსნები** კვირაობით ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულებას დაათვალიერებენ.

✦ **მეღვინეობის და მევენახეობის საგუბერნიო კომიტეტში** წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: „კახეთი“-ს საზოგადოებისგან—თავ. ლ. ა. ვაჩნაძე, „ძმობი“-საგან—თავ. პ. ი. თუმანიშვილი, „საერო“-საგან—თავ. ი. გ. ბარათაშვილი და მეხილეთა საზოგადოებისაგან—ე. მ. კალვეიტი, ნ. ი. კრიჟანოვსკი და შტაბს კაპიტანი ს. ს. ხეთაგური.

✦ **საბეითლო ნაწილის გამგის თანაშემწე ა. ლ. სენიავსკი** ყარსის ოლქიდან, სადაც სამსახურის საქმეთა გამო იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ტფილისის მცხოვრებთა სია.** გუბერნატორმა ტფ. ქალაქის მოურავსა და ტფ. გუბერნიის ქალაქების მოურავებს წინადადება მისცა, წარუდგინონ სია ქალაქის მცხოვრებლების, რუსებისა და არა რუსებისა, აგრეთვე ქალაქის ამომრჩევლებისა.

✦ **ალავერდის ეპისკოპოსი დავითი** გუშინ შუამთის (კახეთი) მონასტერში გაემგზავრა.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** სომეხთა შორის სასარგებლო ცოდნათა გამავრცელებელ სიზოგადოებას, გახსნას ბორჩალოს მაზრის სოფელ ბელჩი-ხაჩში სომეხთა მწერლის ყაზაროს აღაინის სახელობის ბიბლიოთეკა.

✦ **ხორცის ვაჭრობის საქმე,** როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისში დღემდე ვერ იქმნა მოგვარებული. ამიტომ ქალაქის გამგეობა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქის თვითმმართველობას შეეკითხა, როგორ არის თქვენში დაყენებული ხორცის ვაჭრობის საქმეო. როდესაც ტფ. ქალაქის გამგეობა ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, მას თავის მხრივ მოგილიოვის ქალაქის თვითმმართველობა ეკითხება, თქვენში მოწესრიგებულია თუ არა ხორცის ვაჭრობის საქმეო. ტფ. ქალაქის გამგეობამ შესაფერი პასუხი გასცა და თან დასძინა, 1905 წელს ჩვენ თვითონ გავხსენით ხორცის დუქნები, მაგრამ 100,000 მ. ვიზარალეთ და ჩქარა დავკეტეთო.

✦ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის შენობის გაფართოება** ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო და ეს საკითხი საბოლოოდ განსახილველად ქალაქის სასკოლო კომისიას გადასცა. საკითხს კომისია 3 მარტს განიხილავს. ამ საკითხთან ერთად განიხილავს მეორე საკითხს შიოევის სახელობის სახელოსნო სკოლის დაარსების შესახებ.

✦ **ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მესამე ხარისხოვან მსესხებელთა რწმუნებულებად არჩეულ იქმნენ:** გ. რ. ამირეჯიბი, ბაისოგოლოვი, გ. პ. ბებუთოვი, ლ. რ. ვახვახიშვილი, გ. დ. გაბაშვილი, დ. ა. გურამიშვილი, კონსტ. ი. გაბაშვილი, ი. გ. ჯორჯაძე, ა. ი. ჯავახიშვილი, ნ. ი. კეზელი, რ. მ. ყარალაშვილი, გ. თ. ყიფშიძე, ალექ. სოლ. ლიონიძე, კ. ა. მელიქიშვილი, დ. ე. მაჩაბელი, პ. ლ. მჭედლიშვილი, კ. ი. მესხიშვილი, გ. ე. ბაგრატიონ-მესხიშვილი, ა. ი. მირიანაშვილი, გენერალი ი. რ. მაყაშვილი, ი. გ. რატიშვილი, ივ. გ. მაღალაშვილი, ნ. ა. ფავლენიშვილი, ა. ნ. ფურცელაძე, ისაია ფურცელაძე, დ. ა. სოლოდაშვილი, ე. ს. თაყაიშვილი, ნ. ა. თუმანიშვილი, გ. პ. თუმანიშვილი, ა. ა. თუთაშვილი, ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, მ. კ. ყიფიანი, ა. მ. ციმაკურიძე, გ. დ. ერისთავი და გ. ვ. სარაჯიშვილი. კანდიდატებად: ი. გ. მიქაძე, კ. ნ. დიასამიძე, კ. გ. ჯავახიშვილი და ნ. გ. გელოვანი.

✦ ამას წინად ტფილისში გარდაცვლილ პროფესორ **გ. ა. ხალათიანის სახელობაზე სტიპენდიას** აარსებენ განსვენებულის პატივისმცემელნი. სტიპენდია დაარსდება ლაზარევის ინსტიტუტში სომეხ სტუდენტთათვის.

✦ ტფ. რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ **წარმოდგენის წმინდა შემოსავალი** 870 მან. 82 კაპ. იყო.

✦ **ქართულ სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის წარმომადგენლად** სრულიად რუსეთის წვრილ კრედიტისა და კოოპერაციის მოღვაწეთა პირველს კრებაზე, რომელიც 11 მარტს მოხდება პეტერბურგში, დავით ვაჩნაძე იგზავნება.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა** სახალხო უნივერსიტეტის გამგე კომისიის წინაშე შუამდგომლობს, სახალხო სახლისთვის ბუნდოვანი ფარანი შეიძინოს.

✦ **სტენოგრაფია.** 27 თებერვლიდან ვაჟთა პირველ გიმნაზიაში სტენოგრაფიის საღამოს კურსები დაარსდა. კურსებზე 40 მოსწავლე ჩაეწერა.

✦ **ესპერანტოს** ენის სწავლების ნება მიეცათ საკომერციო სასწავლებლებში, მხოლოდ ეს საგანი მოსწავლეთათვის სავალდებულო არ იქნება.

✦ **ლიუტერანთა სარწმუნოების მიღების უფლება მიეცა მართლმადიდებელს** თავ. პავლე დავითის ძე ბექთაბეგოვს.

✦ **ახალი ქუჩა** გაჭყავთ გოლოვონის პროსპექტიდან, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქისა და იმ პასსაჟს შუა, რომელსაც მელიქ-აზარიანცი აშენებს. ადგილს დღეს გუბერნატორი, ქალაქის მოურავი, იჟინერები და ტეხნიკოსები დაათვალიერებენ.

✦ **ტრამვაის დირექციამ** 29 თებერვალს ქალაქის კასაში 47,400 მან შეიტანა იმ **ჯარიმის** დასაფარავად, რომელიც ამას წინად ქალაქის გამგეობამ დაადო დირექციას. დღემდე ტრამვაის დირექცია 250,000 მანეთზე მეტით დაჯარიმა.

✦ **ჟურნალი „მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“-ს თებერვალის (№ 4) ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) შინ და გარედ, ვ. გულბაათიშვილისა, 2) სანატრელი ქვეყანა (გარვუდის თხზულებიდან) ვ, რცხილაძისა, 3)ს ოხუმი თუთუნი უცხოეთში და ლონდონის ბაზარზე „მოსავალი“-ს წარმომადგენელისა და4) კვება და საკვებავები (თარგმანი) პროფ. გენრისა. ჟურნალში მოთავსებულია აგრეედვე სხვა და სხვა გამოსადეგი ცნობა.

✦ **უწესოებანი სემინარიებში.** უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს ტფილისის სასულიერო სემინარიებში მომხდარ არეულობის თაობაზე ამასწინად **საქართველოს ეგზარხოსის ინნოკენტი-საგან** მიეღია დეპეშა ტფილისსასულიერო სემინარიაში მომხდარ არეულობის გამო. ეგზარხოსის აზრით არეულობა გამოუწვეეულ რექტორ არხიმანდრიტ იეროფეისა და ინსპექტორ იაკუბოვსკისადმი. (რუსკ. ვედ.)

✦ დღეს სახაზინო თეატრში ცნობილი ლეკტორი, პრივატ-დოცენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა პ. ს. **კოგანი** წაიკითხავს ლექციას: ქალთა კითხვა რუსეთისა და ევროპის ლიტერატურაში“.

✦ **ფარულად დაკლული წვრილფეხი საქონელი** აღმოაჩინეს გუშინ სალდათის ბაზარზე, ვოტიანცის საყასბოში.

✦ 29 თებერვალს ტფილისში 25 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 29 თებერვალს საპოლიციო სამმართველოში უეცრად გარდაიცვალა 70 წლის კაცი პირი მე იუსუფისა, რომელიც მათხოვრობით სცხოვრობდა.

✦ 29 თებერვალს “19 თებერვლის„ (რიყის ქუჩაზე), სახლის №17 ეზოში სამი ბავშვი თამაშობდა. ორმა ბავშვმა ერთ ბავშვს ივანე ოგანოვს (12 წლის) ხელი ჭკრა. ბავშვი მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სადგილ-მამულო კომიის** კრება 28 თებერვალს მოხდა, განიხილა შუამდგომლობა სომხურ სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც ქალაქს ავლაბრის საგარაკოში იჯარით სთხოვს 100 დესეტინა მიწას. დესეტინაში წელიწადში ერთს მანეთს აძლევს. კომისიამ საჭიროდ იცნო შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბოლოო ხელშეკრულების შემუშავებამდე კომისია იჯარით გასაცემს. მიწას ადგილობრივ დაათვალიერებს.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება დღეს მოხდება. კომისია განიხილავს მეპურეთა ახალ საჩივრებს.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება ხვალ, 3 მარტს, მოხდება. კომისია განიხილავს 1) თავ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობის სასწავლებლის შენობის აგების საკითხსა და 2) განცხადება საქალაქო სკოლების მასწავლებლების ბ-ნი ფირუმოვისა, გ. პაპიტაშვილისა და ასათიანისას, რომელნიც 25 წლის სამსახურისათვის ჯამაგირების მომატებას თხოულობენ.

სასამართლო

✦ **გაზ. „ბაკუ“-სი და „კასპი“-ს რედაქტორების ქ. ა. ვერმიშევისა და ა. ა. ვეინბერგის საქმე** სასამართლო პალატამ ბრალდებულთა დამცველების შუამდგომლობის თანახმად სხვა დროისთვის გადასდო. რედაქტორებს აღა-ბალა გულიევი უჩივის, გაზეთით ცილი დამწამესო. ოლქის სასამართლომ რედაქტორებს ორ-ორის თვის ციხე მიუსაჯა.

✦ **შავ-რაზმელთა პეტერბურგელ გაზეთ „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორის** ა. ი. დუბროვინის საქმე 28 თებერვლისთვის იყო დანიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოში. დუბრუვინს უჩივის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მოხელე ნ. ფ. რუდოლფი, თვის გაზეთში დასწერა „ერთ-ერთ ტფ. ხალხუფლ სიყვარულის ლიგის“ შესახებ და ჩემი ქალიშვილიც მოიხსენიაო. ამ საქმის გარჩევა გადაიდო სხვა დროისთვის. გაირჩევა ჟურნალისტ ლევან ყიფიანის საქმესთან ერთად. ბ-ნი ყიფიანი მიცემულია სამართალში აგრეთვე „თავისუფალ სიყვარულის ლიგის“ შესახებ წერილების დაბეჭდვისათვის გაზ „კაპეიკა“-ში.

ქუთაისი.

✦ ქათაისის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორმა **ბ. გრიგოლ გიორგაძემ** 28 თებერვალს ბორჯომის ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისაგან წერილი მიიღო. საზოგადოება სთხოვს გიორგაძეს ერთ-ერთ თემაზე წაიკითხოს ბორჯომში საჯარო ლექცია.

✦ წინადადება მოსვლია აგრედვე სახალხო უნივერ.ლექტორს **ალ. გარსევანიშვილს** ხონელებისაგან, რომ მან წაიკითხოს დ. ხონში ლექციები „შეეჩენკოზე“ და „შილლერზე“. ალ. გარსევანიშვილი ახლო მომავალში წაიკითხავს ზემოაღნიშნულ მწერლებზე დ. ხონში საჯარო ლექციებს.

✦ ქუთაისის სამოსამართლო მოიგრგებელის კამერაში ხუთ მარტს გაირჩევა ვექილი **ამირეჯიბისა და ლოლოთქიფანიძის საქმე.**

✦ სოფ. კიკნაველეთიდან გვატყობინებენ—26-ს თებერვალს ღამით უცნობი ბოროტ-მომქმედები ჩაპარულან ძმ. ყარამან და ალიოა კიკნაველიძეების ვენახში; ორ ქცევა მიწაზე ახლად მოშენებული დამყნილ ვაზის **ნერგები სულ ერთიანად გადუთხრიათ და წაულიათ.**

✦ **ს. გოჩა-ჯიხაიშში.** მასწავლებელ ილარიონ ქუთათელაძეს განუზრახავს **წიგნ-საცავ-სამკითხველოს** **დაარსება.**

✦ კვირას 4 მარტს დ. ყვირილაში მსახიობი ვ. ურშაძე მართავს **სახუმარო საღამოს.**

✦ სამტრედიის რკინის გზის სადგურზე 27 თებერვალს სოხუმიდან ქუთაისს მომავალ მსახიობ ქ-ნ **ელენა ანდრონიკაშვილს** ჯიბგირებმა 45 მანეთი ამოაცალეს ჯიბიდან.

✦ 27 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ დ. საჩხერეში გაარჩია საქმე ზ. ღოღობერიძისა **ღოღობერიძეს წონის დროს შავი ქვის მოპარვა ბრალდებოდა.** სასამართლომ ღოღობერიძეს ჩამოართვა ყოველივე ღირსება და ერთი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

✦ **სამინისტრომ აცნობა ჭ. შ. ქ. საბჭოს,** რომ მან განკარგულება მოახდინა და მისწერა სახაზინო პა-

---

მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

„მესამოციანნი“

ნაწილი მეორე *)

(„დროება“ 1866—1876 წ., „ძმობა“ 1869—1872 და „კრებული“ 1871—1873 წ.)

I

„საქართველოს მოამბის“ მოსპობის შემდეგ (1863 წ.) ახალ თაობას ორი წლის განმავლობაში საკუთარი ორგანო აღარ ჰქონდა. „ცისკარსაც“, რაკი მოპირდაპირე აღარ ჰყავდა, საომარი იერი დაეკარგა. და ამ ჟურნალს, მცირედის განსხვავებით, თითქოს ძველებური ელფერი დაედო. ცნობილმა ბექმაც (ანტონ ფურცელაძემ) ბაირაღტრობას თავი მიანება. პატარა ხნის ახმაურების შემდეგ ჩვენს მწერლობაში სიჩუმე ჩამოვარდა და გულშემზარავი დუმილი. მხოლოდ 1866 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდის ახალი საკვირაო გაზეთი „დროება“. და სრულიად მართალს ამბობდა რედაქტორი ამ ახალის გაზეთისა, რომ „ჩვენს აზრში ეს წელიწადი (1866) დარჩება შესანიშნავ დროთ: ქართულს ენაზედ გაზეთი სრულებით ახალი საქმეა, და ყოველივე ამგვარი საქმე ნაბიჯის წინ გადადგმაა“. (№ 1). მართლაც, ამ ხანიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთობის გამოცემა არ შეწყვეტილა და მუდმივ, ჩვეულებრივ კულტურულ-საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა.

მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სწორედ 1866 წლიდან რუსეთში უკვე იწყებოდა მეორე, დაკნინების ხანა მესამოცე წლებისა. რუს-ინტელიგენციის აღორძინების, აღფრთოვანების და დიადი იმედების ხანაში (1855—1861 წ.) ჯერ კიდევ ნორჩი იყო ჩვენი ახალი თაობა. მან ჯერ კიდევ ფესვი ვერ მოიმაგრა საზოგადებრივ ასპარეზზე: „საქართველოს მოამბეს“ ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა. ხოლო შემდეგ ხანაში ამ თაობას გასაქანი ადგილი აღარ ჰქონდა. „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ წამოაყენა ჰუმანიტარულ პროგრესიული პრინციპები. ამ პრინციპების გაღრმავება და განვითარება ვალად დაედო „დროებას“. ისიც შეუდგა ამ საქმის განხორციელებას. მაგრამ პირველსავე ნაბიჯზე შეზღუდული და შევიწროებული იყო პოლიტიკურ პირობების მიერ. ყოველივე ეს ჩვენთვის უფრო გასაგები გახდება ზოგიერთი იმ დროს მომხდარი ამბავი რომ გავიხსენოთ მოკლედ.

როდესაც რუსეთის მესამოცე წლებზეა ლაპარაკი, ჩვეულებრივად ჰგულისხმობენ ხანას 1856 წლიდან დაწყებულს 1866—1868 წლამდე. 1861 წლამდე იყო იმედების და ილუზიების ხანა, ის დრო იყო, როდესაც თვით გერცენმაც კი აღფრთოვანებულად დაუწერა იმპერატორ ალექსანდრეს თავის სიზღვარ-გარეთელ „კოლოკოლში“: შენ გაიმარჯვე, გალილეველო! მაგრამ ილუზიები რუსეთის ინტელიგენციისა მალე განელდნენ. 1861 წელს ვრცელდება პირველი პროკლამაცია „ახალ თაობისადმი“. 1863 წელს არსდება „მიწა და თავისუფლების“ ორგანიზაცია. მთავრობა და ინტელიგენცია ორ ბანაკად დარაზმდნენ. ამავე დროს მოხდა პოლონეთის რევოლუციის დამხობა. გამარჯვებული მთავრობა მეტის სისასტიკით და ენერგიით ეძგერება თავის შინაურ მტრებს „ნაროდოვოლცებს“. ბრძოლა გამწვავებულია. 4 აპრილს 1866 წელს კარაკოზოვი საზაფხულო ბაღის კარებში ხელმწიფეს ესვრის დამბაჩას, ხოლო ააცდენს. და ამ პირველ ტერორისტულ აქტის შემდეგ მთელს რუსეთში გამეფდება ეგრედ წოდებული „თეთრი ტერორი“.

აი ამ დროს ჩნდება „დროება“. ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, რომ თავის გაჩენის დღიდანვე იყო იგი შეზღუდული. წერტილებით აჭრელებული წერილები ჰმოწმობენ, რომ ცენზორის მაკრატელს იმ ხანაში ბეჯითად უმუშავნია და მოუკვეცნია ყოველივე ის, რაშიაც კი ცოცხალი სული იყო. თავის სარედაქციო განცხადებაში, რომელიც წლის ბოლო თვეებში დაიბეჭდა, „დროება“ ამბობს, სხვათა შორის: „ჩვენ თვითონვე ვაღვიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ ვერ ავასრულეთ, რაც დავპირდით მკითხველს. მაგრამ იმითი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდნენ, რომელთაც დაგვიშალეს ჩვენი პროგრამის სრულად ასრულება“. (№ 36. 1866 წ.).

ამგვარად, რუსეთის მესამოცე წლები და ჩვენებური მესამოცე წლები გარეგნულ პირობების მიხედვითაც განსხვავდებიან. ჩვენმა მწერლობამ ვერ გაინავარდა თავისუფლად დასაწყისში (1855—1866 წ.) და მისი სამოციანი წლები სამოცდაათიანებში გადაიდო. ჩვენ მხოლოდ მესამოცდაათიანებში ვცდილობთ კრძალვით და გაუბედავად იმის თქმას, რაც გაბედულად და თამამად ითქვა რუსეთში ათის წლის წინად. ასე დავიწყეთ დაგვიანებით და ასევე დაგვიანებით განვაგრძობთ მსვლელობას დღესაც. და ეს საკვირველიც არ არის. მესამოცე წლებში რუსის ინტელიგენციას უკვე ასის წლის ისტორია ჰქონდა (ნოვიკოვ-რადიშჩევიდამ). ჩვენ კი მხოლოდ მაშინ ავიდგით ფეხი. მართალია ზურგს უკან, შორეულ წარსულში, უძველესი კულტურა გვქონდა. მაგრამ ამ კულტურის ფასი და მნიშვნელობა ხომ დღესაც საცილობელი საგანია ჩვენში.

ვიკითხოთ ახლა, აქვს თუ არა ჩვენებურ მესამოცე წლებს განსაკუთრებული ფიზიონომია? რაგვარის იდეიური მიმართულებით დახასიათდება იგი? და რა უნდა ჩაითვალოს ამ ეპოქის ნიშანდობლივ თვისებად? და მოვისურვებთ თუ არა ამ საკითხებზე პასუხის გაცემას, ისევ რუსეთისაკენ უნდა მივიბრუნოთ თვალები და გავიხსენოთ გონებაში რუს ინტელიგენციის იმ დროინდელი იდეიური მიმართულება. მესამოცე წლებიდან იწყება მკვიდრი და თითქმის განუყრელი კავშირი რუს და ქართველ ინტელიგენციებისა. ეს კავშირი არ არის თანასწორი. ჩვენ შეგირდები ვართ, ისინი მასწავლებლები. და კარგი ის არის მხოლოდ, რომ ამ უფროსს-უმცროსობას ძალდატანებითი ხასიათი არა ჰქონდა. მაშ ვიკითხოთ ჯერ, რა ახასიათებს მესამოცე წლის რუს ინტელიგენციას?

რუსეთში იყო ეს ეპოქა გლეხთა განთავისუფლებისა, ახალ სასამართლოს და იურიდიულ ინსტიტუტების შემოღებისა. და ამიტომ თავდაპირველად ეს იყო ხანა დემოკრატიზმისა. დემოკრატიულ წყობილებას ჩაეყარა საფუძველი და თუმცა ჯერ კიდევ არა სჩანდა დემოკრატია, როგორც კლასი, სამაგიეროდ რუსის ინტელიგენცია თავის შემადგენლობით შესამჩნევად გადემოკრატდა. „Разночинецъ пришелъ“, ამბობდნენ იმ ხანებში. ეს იყო ეპოქა პოზიტიურ ფილოსოფიის გავრცელებისა, მატერიალიზმის გამეფებისა, ბიოლოგიურ მეცნიერების აყვავებისა. ბიოლოგიური პრინციპები შეიჭრნენ სოციოლოგიაში. სპენსერის სოციოლოგია ჰმეფობდა იმ დრომდე, სანამ მიხაილოვსკი გაილაშქრებდა მის წინააღმდეგ (სამოცდაათიანებში). ბუნების მეტყველების ზედგავლენით დიდი პატივი მიეცა რაციონალურ მსჯელობას, უტილიტარისტულ ეთიკას და „სასარგებლო“ ხელოვნებას. რაც შეეხება ეკონომიურ ცხოვრებას, აქ სათემო მიწის მფლობელობას აძლევენ პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას. ხოლო სათემო მიწის მფლობელობის საკითხთან დაკავშირებული იყო ჯერ კიდევ სლავიანოფილების მიერ წამოყენებული საკითხი რუსეთის ისტორიულ მსვლელობის და განვითარების გზის თავისებურობის შესახებ. ამ პრობლემით ღრმად იყვნენ დაინტერესებულნი—მართალია, სხვა და სხვანაირად,—სლავიანოფილების შემდეგ, გერცენი, ჩერნიშევსკი. ხოლო მესამოცდაათიანებში, ლავროვი და მიხაილოვსკი. სათემო მიწის მფლობელობის მცნება და მასთან დაკავშირებული ისტორიულ ფილოსოფიური პრინციპები რუსეთის განსაკუთრებულის გზით მსვლელობისა დაედვნენ თეორიულ საფუძვლად „ნაროდნიკულ“ მიმართულებას, რომლითაც დახასიათდება რუსეთის ინტელიგენცია ოთხმოცდაათიან წლების დამკვიდრებამდე.

აი ყოველივე ეს ისახება ჩვენს ჟურნალისტიკაშიაც. მართალია, თეორიული მსჯელობა, პრინციპიალური დასაბუთება სუსტობს. მზად დამზადებული ფორმულები კი ზედმიწევნით არიან გადმოტანილი ჩვენ პრესაში. ჩვენში არავითარი თეორიული ტრადიციები არ არსებობდნენ. ამიტომ ახალ აზრების შეთვისებაც დოგმატიური უნდა ყოფილიყო. რუსის ინტელიგენციამ განვლო ხანა აზრის გავარჯიშებისა. ოცდაათიანა და ორმოციან წლებში ბეჯითად ეწაფებოდნენ შელინგის, ფიხტეს და გეგელის ფილოსოფიას. სამოციანებში ბუნების მეტყველების გამეფების ხანაში, აღიძრა რეაქცია მეტაფიზიკურ სისტემების წინააღმდეგ. დადგა ეპოქა პრაკტიკულ მუშაობისა, პრაკტიკულ იდეალების დასმისა და მეცნიერებასა და ხელოვნებასაც ამგვარ პრაკტიკული სამსახური მოსთხოვეს. მართებულია ეს თუ არა, სხვა საკითხია, ხოლო ამ მოვლენის ბუნებრივობა და თითქმის ისტორიულ აუცილებლობა ეჭვს გარეშეა. ჩვენში არავითარი ამ ხასიათის ტრადიციები არ იყო. როგორც ვიცი, ჩვენი პირველი მწერლები (ცისკრის ხანისა) ანტონ კათალიკოზის „თეორეტიკებით და კათილოორიებით“ იყვნენ შეიარაღებულნი. მესამოცენებს ჟურნალისტიკაში საშუალ საუკუნოების სხოლასტიკა დახვდა. ეს სხოლასტიკა, მართალია, მაღალ იყო აღგვილი. და რუსეთის ჟურნალისტიკა მესამოცე წლებისა შეიქ ნა იმ წყაროდ, საიდამაც მესამოცანნი იკრეფდნენ გონებრივ საზრდოს. ამიტომ აზრის სამეფოში აქ ჩვენ არ ვითარ ორიგინალობას არა ვხედავ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხანა ამიტომ მნიშვნელობას იყ მოკლებული. პირიქით ახალ ს ართველოს საძირკველი სწორედ დროს იყო ჩაყრილი. სწორედ ხანიდამ უნდა დაწყებულიყო ნელნელა დაიწყო კიდეც ეროვნ შენობის აგების საქმე ევროპი პრინციპების მიხედვით.

ლატას, რომ ჭიათურაში 1912 წლის მეორე ნახევრიდან **ხაზინა გაიხსნას.**

✦ **მდ. ყვირილის გაწმენდის შესახებ.** ჭიათურაში შემდგარმა ინჟენერების კომისიამ შეიმუშავა ამის შესახებ საკონკურსო პირობები. პირველ პრემიად კომისიამ დანიშნა 1,500 მან. მეორედ—500 მან. ვინც იმის უკეთეს გეგმას წარმოადგენს, თუ რა რიგად გაიწმინდოს მდ. ყვირილა. გეგმა უნდა წარდგენილ იქნეს 15 ოქტომბრამდე.

✦ 24 თებერვალს **დაპატიმრებულნი მკურნალის გიმნაზიის შეგირდები** რიცხვით ოთხი კაცი სამხედრო ბეგარის მოხდის თაობაზე 28 თებერვალს ციხიდან გაანთავისუფლეს.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლომ 28 თებერვალს დაამთავრა **ქსენია დოგონაშვილის მოტაცების საქმის გარჩევა.** ქალის მომტაცებელს (რომელსაც ქალის წაყვანა და მაზე ძალით ჯვრის დაწერა ბრალდებოდა) ი. ჭუმბაძეს სასამართლომ ოთხი წლის კატორღა მიუსაჯა, დანარჩენ 11 კაცს, რომელთაც ქალის მოტაცების დროს ჭუმბაძის დახმარება ბრალდებოდათ, სასამართლომ მიუსაჯა სხვა და სხვა ვადით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. („ცხოვრება").

ბ ა თ ო მ ი.

✦ 9 მარტს მოხდება ბათომის საოლქო სამმართველოს კრება, ოლქის უფროს ▌საატოვის თავმჯდომარეობით. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი **რკინის გზის** საჭიროებისათვის ბარცხანაში შემოფარგლულ ადგილების ხელმეორედ შეფასებისა.

✦ ბათომის თეატრში დასდგეს „ფაუსტი". მარგარიტას როლს ასრულებდა **ქ-ნი თარხნიშვილი.** საზოგადოებაზ დიდად მოეწონა იგი.

ბ ა ქ ო

✦ 28 თებერვალს სპარსეთის **ძველმა შაჰმა მაჰმედ-ალიმ** გემით ბაქოზე გამოიარა და გაუჩერებლად პეტროვსკისკენ გაემართა.

კ ა ვ კ ა ვ ი

✦ გროზნის საოლქო ადმინისტრაციას 25 თებერვალს აცნობეს, რომ **ზელიმ-ხანი** სოფ. შალიში იმალებაო. პოლკოვნიკი მარგანია 136 ჯარის კაცით ფიცხლავ გაემართა ამ სოფლისაკენ. რაზმი სამ ნაწილად დაჰყო და ალყა შემოარტყა იმ სახლს, სადაც ზელიმ-ხანი ეგულებოდათ. ამ სახლიდან გამოვიდა ერთი კაცი და ქუჩისკენ გაემართა. აფიცერმა რამდენჯერმე დაუძახა—შეჩერდიო. ის კი მიდიოდა. ესროლეს და მოჰკლეს. იგი აღმოჩნდა ს. შალის მცხოვრები ახმედ გელისხანოვი, 25 წლისა.

✦ კავკავში არსებულ პოლიტოვსკის **სავაჭრო სკოლაში** სულ 45 მოწაფე ყოფილა. ამათგან რუსი—15, ოსი—9, ქართველი—9, სომეხი—4, სპარსელი 3, ებრაელი—1, ჩერქეზი—3, ბერძენი—1.

სიღნაღი

✦ 26 თებერვალს **სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება** არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი ცენზიან წევრებისა არ გამოცხადდა. კრება 4 მარტისთვის გადაიდო. კერძო თათბირი გაიმართა, რომლის დროსაც გადასწყვიტეს მომავალ ქართულ სამეურნეო საზ. სათათბიროს კრებაზე, რომელიც ამ გაზაფხულზე თელავში მოხდება—გაგზავნოს ორი-სამი წევრი, რომელნიც გაეცნობიან საქმეს და მერე სოფლებს მოივლიან და გააცნობენ ნახულს.

✦ 25 თებერვალს სიღნაღში ავტომობილით **ჩამოვიდა ტფილისის გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი.** დაათვალიერა ძველი აფთიაქისა და ქალაქის ახალ აფთიაქის ბინა. განკარგულება მოახდინა ახალ აფთიაქს ძველის გვერდით ნუ მოათავსებთო. დაათვალიერა აგრედვე სიღნაღის ღელე (დამბა), რომელიც ისეა ჩანგრეული, რომ ეტლები ძლივსღა დადის სიღნაღის უმთავრეს ქუჩაზე.

სოფლად.

✦ **თიანეთი.** აქაურ სკოლაში, რომელსაც ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება ინახავს, მესამე მასწავლებლის თანამდებობა დაარსდა წელიწადში 360 მანეთის ჯამაგირით.

რედაქციისაგან

„ზაკ. რეჩ"-ის მე-50-ე ნომერში დაბეჭდილია თავ. მიხ. დავ. ჭავჭავაძის წერილი, რომელშიაც იგი ამბობს, ვითომც ჩვენი გაზეთის თანამშრომლებს რაღაც პირად ინტერესებისთვის სურდეს კლუბის საქმეში ჩარევა. ამის საპასუხოდ თავ. ჭავჭავაძეს შემდეგს მოვახსენებთ!

1) „სახალხო გაზეთს" აზრადაც არ მოსვლია „კლუბის" სახელის გატეხა. მან მხოლოდ აღნიშნა უწესობა და შემდეგშიაც აღნიშნავს, რადგანაც მიუდგომელი პრესა სწორედ იმისთვის არსებობს, რომ უწესობა აღნიშნოს;

2) არავითარი პირადი ინტერესები „სახალხო გაზეთს" კლუბში არა აქვს; რედაქციის წევრთა უმრავლესობა კლუბის წევრადაც კი არ ითვლება, რაიმე თანამდებობის დაჭერა და მით უფრო ფასიან თანამდებობის მიღება არც ერთს მათგანს არ მოუსურვებია;

3) ვინა სწერს გაზეთში, „ბავშვი" თუ „მოხუცი", ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ადამიანს აფასებენ მოქმედებით და არა წლოვანობით;

4) „სახალხო გაზეთი"-ის რედაქციას არავითარი „ინსტრუქტორები" არა ჰყავს და ამიტომ პასუხსაც არ აგებს თავად-აზნაურობის წინაშე.

საიდან წარმოიდგინა თ-დმა მიხ. ჭავჭავაძემ, რომ „სახალხო გაზეთი" ვალდებულია რაღაც ანგარიშები ჩაბაროს დეპუტატთა საკრებულოს, ეს ალბათ თავ. ჭავჭავაძის ღრმა საიდუმლოებას შეადგენს.

საგურთალოს ახალშენი.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ ხუთის წლით წინად საბურთალოზე მაკაროვის მამული ნაკრობით შეისყიდა ექვსასზე მეტმა კაცმა სამოსახლოდ; ეს ადგილები დღევანდლამდე თითქმის დაუსახლებელია. თუ ვინმე სცადა შეპოღობვა და ქოხის ჩადგმა, ბოლო ვეღარ მიადევნა, რადგანაც განმარტოებული ადგილია და ათასი გამვლელ-გამოვლელი ხელს ატანს. სცადეს ხეხილების ჩაყრაც, მაგრამ დაიპარეს. ამის გამო კარგი იქნება თუ ყველა მონაწილენი საბურთალოს ახალშენისა, შეიკრიბებოდნენ, მოილაპარაკებდნენ და საერთო ძალით შემოჰღობავდნენ მთელ ნასყიდ ადგილს და ერთ ყარაულს ჩააყენებდნენ. ეს საქმე ექვსასზე მეტ მონაწილისათვის ძნელი არ არის. ისე კი კერძო მოსახლეს ფეხი ვერ მოუკიდნია.

საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ საბურთალოს საახალშენო ადგილის მესაკუთრეთ.

მეგობარი.

სიღნაღის ხელოსანთა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

19 თებერვალს ქ. სიღნაღში მოხდა სიღნაღის ხელოსანთა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება კ. ი. ტყავაძის თავმჯდომარეობით.

გამგეობის თავმჯდომარემ კ. ი. ჯაფარიძემ კრებას მოახსენა ანგარიში წარსულ 1911 წლისა. ამ ანგარიშიდამ გამოირკვა, რომ ამხანაგობას სამი თვის განმავლობაში (მოქმედება დაიწყო 1 ოქტომბრიდამ 1911 წ.) დაუტრიალებია 2946 მან. 90 კაპ. სარგებელი შემოსვლია 124 მ. ხარჯის 96 მ. 90 კაპ. გამოკლებით წმინდა შემოსავალი ჰქონია 27 მან. 10 კაპ. 118 წევრი ჰყოლია. საწევრო ფული შემოსულა 305 მან. (თვეში 1 მ.). პაი 25 მან.

იანვრიდან ჩაწერილა კიდევ 30 კაცი.

ამხანაგობას მიუღია სახელმწიფო ბანკიდან დამფუძნებელ თანხად 1000 მან. და მოკლე ვადიანი კრედიტი ჰქონიათ მიცემული 3000 მ., რომლიდანაც უსარგებლნიათ მარტო 2000 მ.

გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ჯაფარიძემ სთხოვა კრებას გაენთავისუფლებინათ თანამდებობიდან, რადგანაც თვითონ დიდი საქმე აქვს (ნოტარიუსი არის), მაგრამ კრება არ დასთანხმდა, ერთი წელიწადი მაინც კიდევაც დაიყოლიეს. ამასთან კ. ტყავაძის წინადადებით კრებამ ამოირჩია მოანგარიშეთ ბ. კ. ლომიძე და დაუნიშნა მას თვეში 6 მან.

შემდეგ ამისა კრებამ ამოირჩია საბჭოს წევრად კ. ტყავაძე და გამგეობის წევრის კანდიდატად ს. ტერეაზაროვი, გამგეობას მადლობა გადაუხადა, ანგარიში დაამტკიცა და კრება დაიშალა.

ამხანაგობა ჯერ კარგს საფუძველზეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უფრო უკეთ წავა მისი საქმე.

მეთვალყურე.

წკიპურტები

თავ. მიხ. ჭავჭავაძეც ძველ დროებას მისტირის. მაშინ კარგი იყო ქართული გაზეთი, ეხლა კი... ეხლა მისი თანამშრომლები ანგარებით არიან გატაცებულნი და „კლუბის" საქმეებში ჰსურთ ჩაერევნენ. თუმცა საეჭვოა, თავ. ჭავჭავაძეს ან უწინ წაეკითხოს ქართული გაზეთი, ან ეხლა კითხულობდეს, მაგრამ მაინც... დაე ისევ ძველი სჯობდეს ახალსა. რასა ზარალობს? მაგრამ მაინც საინტერესო მოვლენაა: თავ. მიხ. ჭავჭავაძე ქებით იხსენიებს ჩვენი გაზეთის წინანდელ ხელმძღვანელებს. ალბად ჭგონია, რომ ეს ხელმძღვანელები მოუწონებდნენ, როდესაც კლუბის საზოგადო კრებაზე წევრებს პირში ბურთსა სჩრიდა და ლაპარაკს უკრძალავდა, სამართალში მიგცემთო.

საწყალი „ძველი" ხელმძღვანელები ასეთს ქომაგთა ხელში!

* * *

ყველა-ყველა, მაგრამ „ინსტრუქტორებიც" შესაბრალისნი არიან. ამის შემდეგ მათ უეჭველია ძილი უნდა დაუფრთხეთ. იცოდეთ, ჩინეთშიაც რომ დაიბეჭდოს რამე კლუბის შესახებ, მისი ავტორი უსათუოდ „ინსტრუქტორი" იქნება. მე კი ჩემის მხრით უნდა გამოუცხადო თავ. ჭავჭავაძეს, რომ „ინსტრუქტორი" არ გახლავართ, კლუბის საქმეებშ ჩარევას სრულიად არ ვაპირებ, იმიტომ რომ საზოგადოდ დაჩვეული არ გახლავართ ხელის ფათურს ისეთს დაწესებულებებში, სადაც ფული ტრიალებს და თავად-აზნაურობის კრებაზე არავის არავითარ ანგარიშს არ ჩავაბარებ.

მეც შემიბრალე, მკითხველო, ვინაიდან თავ. ჭავჭავაძემ ჩემდა უნებურად „გამაინსტრუქტორა".

* * *

განა აბისელი კი შესაბრალისი არ არის? ისეთი რიხითა სწერდა, რომ კიდევ ერთ-ორ ნაბიჯზე ... ეს ... ეს ... ...

რომი „სტეფანის“ ატყობინებენ, იტალიელები ორ სიმაგრეს დაესხნენ თავსაო. ოსმალებს 1000 კაცამდე მოუკლეს. იტალიელებმა სამი აფიცერი და 26 ჯარის-კაცი მოუკლეს, 7 აფიცერი და 55 ჯარის-კაცი დასჭრეს.

ტრიპოლი. ზანზურსა და ზავიას თავზე დირიჟაბლები დაფრინავდნენ. ოსმალებმა თოფი დაუშინეს, მაგრამ ვერა დაკლეს-რა. დირიჟაბლებიდან 28 ყუბარა ისროლეს, რითაც ოსმალნი დიდად დაზარალდნენ. ზავიას და აზიზიას შორის მიმავალ ქარავანსაც ესროლეს ორი ყუმბარა.

დეპეშები

(დეპეშათა ჰეტერბ. სააგენტო)

1 მარტი.

საზღვარ-გარედ.

მუშათა გაფიცვა ინგლისში.

ლონდონი. გარეშე საქმეთა სამინისტროს სადგომში მაღაროების პატრონებსა და ძუშების წარმომადგენლებს სხდომა ჰქონდათ. სხდომაძ 3½ საათს გასტანა და ხვალაც გაგრძელდება. კამათის შინაარსი არ იცით.

მთავრობამ გამოაცხადა, რამდენისამე საათს შეძლეგ შეიძლება გაფიცვა გათავდეს, თუ მოლაპარაკების საქმე ისე ხავიდა, როგორც გუშინაო. ამის მიუხედავად, მაღაროების მუშათა კავშირძა გამოაცხადა, დამჭირავებლებს სურვილი არ გამოუთქვამთ ხელფასის გადიდებისა და ამიტომ მუშაობას ნუ დაიწყებთ, ვიდრე ხელფასის მინიმუძის შეძოღებას არ დასთანხმდებიანო. კავშირი თანახმაა ცალკე ოლქების დამჭირავებლებთან ჩქარ მორიგებისათვის მოლაპარაკება გამართოს.

გაფიცვა გერმანიაში.

ესსენი. რურის ოლქის 306 ათას მუშაში უკვე 131 ათასმა დაიწყო მუშაობა. სოციალისტების სიტყვით, გაფიცულია 200 ათასი მუშა. მომუშავეთ და გაფიცულებს შეტაკება მოსდით. პოლიცია ჯარის დახმარებას თხოულობს.

ოლქებიდან ყოველდღე მოდის პოლიციისა და გაფიცულების შეტაკების ამბავი. დღევანდელ შეტაკების დროს ჟანდარმმა რევოლვერით ერთი გაფიცული მოჰკლა. პოლიციელთა რაზმი გააძლიერეს. „ქრისტიან“ მუშათა ბიურომ პოლიციას დახმარება სთხოვა და აღნიშნა, გაფიცულების რიცხვმა იმიტომ იმატა, რომ ბევრს ეშინიან გაფიცულების თავდასხმისაო-

დორტმუნდი. დღეს რურის ოლქში გაფიცულია 187,950 მუშა. ცვიკაუში სამთამადნო უწყებამ მუშათა თხოვნით, მოლაპარაკებაში შუამავლობა იკისრა.

ბელგიის მუშები.

ბრიუსელი. ბელგიის მაღაროების მუშათა საეროვნო კომიტეტმა გადასწყვიტა, განსახილველად წამოაყენეს კვირას ოთხ ოლქის კონფერენციაზე (კრება ცალ-ცალკე მოხდება) შემდეგი საკითხები: ხელფასის მინიმუმი, ხელფასის 15 პროც. გადიდება და ფედერაციის ოფიციალურად აღიარება. 11 მატს საქმის საბოლოო გადასაწყვეტად საერთო კონფერენცია მოხდება.

ინგლისის ხარჯთ-აღრიცხვა.

ლონდონი. საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა გამოაქვეყნეს. მოითხოვენ 440 მილიონს. ამ წელს უნდა გააკეთონ ოთხი დიდი ჯავშნოსანი, რვა კრეისერი, 20 ნაღმ მიუკარებელი გემი და სხვ. მეზღვაურთა რიცხვს მიუმატებენ 2000 კაცს. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია სხვა სახელმწიფოთა სმეტის მიხედვით და არც გაადიდებენ. ჩერჩილის სიტყვით, თუ გარემოება შეიცვალა, მაშინ მეტ ფულს გადასდებენ. ახალი გემები 14 ძილიონამდე დაუჯდებათ.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. ჩერნოგორიის საზღვარზე ბრძოლა მოხდა. მოჰკლეს 4 ჩერნოგორელი და ოსმალეთის ორი ჯარისკაცი. წარსულ კვირის განმავლობაში მაკედონიაში 17 ყუმბარა იპოვნეს. სექტემბრიდან აქამდე მაკედონიაში 295 ყუმბარა აღმოუჩენიათ. ოპოზიციის დეპუტატად ნამყოფი ებუზია-თევფიკი დაუპატიმრეს. სამხედრო სასამართლომ სტამბოლში ყოველგვარი კრება აკრძალა, გარდა კლუბებში შეკრებისა

გაფიცულებთან შეტაკება.

ჰამბორნი. ოლქებში, სადაც გაფიცვაა, დიდი არეულობა დაწყებულა. ობერმანცლოში გაფიცულებს პოლიციასთან შეტაკება მოსვლია. სხვა და სხვა ფანჯრებიდან თითქმის 200-ჯერ ისროლეს. დუქნები სროლით დაანგრიეს. ხალხმა ქუჩის ფანრები ჩაამსხვრია. პოლიციის დახმარებით ძლივს აღადგინეს წესიერება. გაფიცულებმა ოლქის უფროსს პროტესტი განუცხადეს, პოლიციის მოქმედება ბრძოლის დაწყებას გვაიძულებსო.

ინგლისის პალატა.

ლონდონი. უნიონისტმა ემერიმ აღნიშნა ჯარის მოუმზადებლობა, მინისტრის თანაშემწემ სილიმ უპასუხა: 1899 წელს შემდეგ ბევრად წავედით წინ. ემერისა და სხვა დეპუტატების დასარწმუნებლად ცნობები მაქვს დაბეჭდილ კონვერტში და ვთხოვ იგი საიდუმლოდ შეინახონ. ემერი დარწმუნდება, რომ მობილიზაციის ბრძანების გაცემისთანავე შეგვიძლიან 150 ათასი ჯარის კაცი საომრად გამზადებული გამოვიყვანოთ და მათში ინდოეთის ჯარიდან ერთიც არ იქნებაო. ეს ჰმოწმობს, რამდენად წინ წავსულვართ (მოწონება).

გიმნაზიელთა გაფიცავ.

ზაგრები. გიმნაზიელებმა ისევ გამოაცხადეს გაფიცვა, ბანის ცუვაის წინაალმდეგ მიმართული. გაფიცვას სახალხო სკოლის მოწაფენიც მიემხრნენ.

მაროკო.

ანჟერი. სარწმუნოების ნიადაგზე არეულობა დაიწყო. არეულობა შაბათს გაძლიერდა, ადგილობრივი მცხოვრებნი სამს ფრანგის კომერსანტს და ორ ჟურნალისტს თავს დაესხნენ. ბრბო გარს შემოერტყა აგრედვე ერთს შვეიცარიელს და ერთ გერმანელს. ყველანი საფრანგეთის ჯარმა გაანთავისუფლა. ფაშამ ზომები მიიღო არეულობის მოსასპობად. 15 მეამბოხე დაუპატიმრეს.

რუსეთი

ზღვით მოგზაურობის უზრუნველ-ყოფის საერთაშორისო კონფერენცია.

პეტერბურგი. საერთაშორისო კონფერენცია ზღვით მოგზაურობის უზრუნველსაყოფ ზომების შესამუშავებლად მოხდება პეტერბურგში 12—19 მარტს.

სასადილოების დაარსება.

ბალახანა. წითელ ჯვრის საზოგადოების საშუალებით 350 სასადილო დაარსდა.

ქარ-ბუქის მსხვერპლნი.

ტობოლსკი. იშიმის მაზრაში აღმოაჩინეს კიდევ 34 გვამი იმ პირთა, რომელნიც 19 იანვარს ქარ-ბუქის მსხვერპლნი გახდნენ.

უადაღა.

მოსკოვი. ყადაღა დაადვეს „ჟივოე სლოვო“-ს მერვე ნომერს. რედაქტორს პორნოგრაფიისათვის პასუხის-გებაში აძლევენ.

რევოლუციონურ წიგნების შენახვისათვის.

მოსკოვი. სოციალ-რევოლუციონურ წიგნაკების შენახვა-გავრცელებისათვის სასამართლომ კოლომენის მაზრის სოფელ ოზეროს საზოგადო სამკითხველოს გამგე კომაროვს ორი კვირის ციხე მიუსაჯა, გამგეობის წევრს იუმაშევს—ორი წლის ციხე, ხოლო სტუდენტ მურანოვს—ერთი წლით ციხე.

პეტერბურგი. ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზილოვი თავისივე თხოვნით სამსახურიდან დაითხოვეს, მის ადგილს ხარკოვის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი კულჩიცკი დაინიშნა.

ასფალტის აღმოჩენა.

პეტერბურგი. სტერლიტამკის მახლობლად 4 საჟენის სიღრმეზე ძვირფასი ხარისხის ასფალტი აღმოაჩინეს; მეხუთე საჟენის სიღრმეზე კი სქელი ნავთი აღმოჩნდა.

ქალების საპატიმრო.

მინისტრთა საბჭომ ნება დართო იუსტიციის მინისტრს სახელმწიფო სათათბიროში მოხსენება წარადგინოს, პეტერბურგში ქალთა საპატიმროს დაარსებისა, ნაცვლად პეტერბურგის არსებულ საქალებო განყოფილებისა.

გენერალ კურლოვსა და ვიცე-ლექტორ ვერიგინზე საჩივარი.

კომერციულ სასამართლოს გაურჩევია პეტერბურგის სამაზრო ერობის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების საჩივარი. საზოგადოება გენერალ კურლოვსა და ვიცე-დირექტორ ვერიგინს, 4,320 მანათს ედავება. საჩივარი კანონიერად უცვნიათ და მოპასუხეთათვის დაუვალებია ანაზღაურება. სასამართლოს დაუკმაყოფილებია აგრედვე საზოგადოების საჩივარი 4000 მანეთისა. დაადგინეს, რომ გენერალ კურლოვს აუწერონ მამული, ხოლო ვერიგინს საოჯახო ნივთები.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

№ 4711

სქელი პუდრი

კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს

ფერდ. **მიულგენსი**

 კოლოფი 30 კაპ. — პარფიუმერია № 4711

მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.

Мет ъ 28846

(7—1063—5)

პასუხი მ. გოგრგილაძეს.

ბ-ნო გორგილაძევ! ფირმა „გემო“ გვეკუთვნის ჩვენ. კვასის მზადებას კიდევაც შევუდექით. სამედიატორო სასამართლოსათვისაც მზადა ვართ. ჩვენი მედიატორეები იქნებიან: პ. კალანდაძე და ივანე ცინცაძე. ჩვენ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო გვაქვს და ამიტომ საჭიროა ჩქარა შეკრიბოთ მედიატორეები, (არა უგვიანეს ხუთი დღისა გამოცხადებიდან) და თქვენი გასაოცარი პრეტენზიები გაარჩიონ.

მ. ფირცხალაიშვილი და **დ. ჭელიძე.**

(1.265.1)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ — 11—12 ს. შეუხაკუნება **კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებრო. ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. საზ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. ნაბეჭდი, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.27)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კოშარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—4)

თევზის მრეწველი
ძ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ვურჩევთ
ბრინჯის ჰიგიენურ
პუდრთა მეფეს

LA REINE DES POUDRES

სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).

1900 წ. პარიზის ოქროს მედალი

პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“

მთავარი საწყობი:

ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(11—1295—10)

ამის გარეშე იყო, იგი უბრალო შესაქცევ საგნად მიაჩნდათ. პრაქტიკულად, მოღვაწეობასა და მოქმედებაში, ეს ასე არას დროს არ იყო. მთელ იმ დროინდელ ეპოქას, მიუხედავად მატერიალიზმის გამეფებისა, აშკარა იდეალისტური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ამას არ ვეხებით ამ ჟამად. სახეში გვაქვს ვიწრო ფორმულა, რომელშიაც უნდოდათ ხელოვნების ჩაყენება. შეცდომა ამ ფორმულისა ის არის, რომ ხელოვნებას ტკბობის, სიამოვნების და თვით შექცევის თვისებებს აშორებდნენ. საქმე ის არის, ნამდვილი ხელოვნება, რეალისტურია იგი თუ სიმბოლისტური, ყოვლთვის ატკბობს და ასიამოვნებს. სიტკბოების ემოცია ისევე განუშორებელი თვისებაა ნამდვილ ხელოვნებისა (გინდ რეალისტურისა), როგორც, კმაყოფილების გრძნობა არის თვისება ზნეობრივ მოქმედებისა. ნეკრასოვის ზოგიერთი ლექსიც სწორედ იმიტომ ახდენდა შთაბეჭდილებას, რომ მასში იყო დაცული ეს მოთხოვნა პოეტურ შემოქმედებისა. და ხელოვნება, როდესაც არ აღძრავს ადამიანში ესთეტიურ ემოციას, ხელოვნებად არ ჩაითვლება, თუ გინდ შიგ იყოს ჩაყოლილი ბევრი ჭკვიანი და სასარგებლო აზრი. ჩერნიშევსკის ბუნებრივი ხე უფრო მოსწონდა, ვიდრე დახატული. პირველი უფრო ლამაზიაო. ეს გემოვნების საქმეა. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ჩერნიშევსკი მაინც სილამაზის მცნებაზე დგას. იგი არ ამბობს ბუნებრივი ხე უფრო სასარგებლოა, არამედ უფრო ლამაზიაო. მის ცნობილ დისერტაციაში „Эстетическое отношеніе искусства къ дѣйствительности“ ესთეტიკა სავსებით არ არის უარყოფილი. მაგრამ ეს საქმე დაასრულეს დობროლუბოვმა და პისარევმა. დობროლუბოვმა ამოჭკვეცა თავის ლექსიკონიდან იმგვარი სიტყვები, როგორიც არის „სილამაზე“, „ხელვნება“. მის თვალში მნიშვნელობას მოკლებულია ის თუ როგორ არის აღსრულებული ნაწარმოები, თავი და თავი აზრი და მიზანია ამ ნაწარმოებისა. პისარევი უფრო შორს მიდის. მის თვალში ესთეტიკა მხოლოდ ის არის, თუ როგორ და რითი უნდა ისიამოვნოს ადამიანმა. „ძირს ესთეტიკა, ამბობდა იგი. ძირს კულტურის და პროგრესის ის მხარენი, რომელნიც პასუხს არ გვაძლევენ მთავარ საკითხზედ, თუ როგორ გავაძღოთ დამშეულნი და როგორ უზრუნველვყოთ ყველანი? პისარევის თვალში უბრალო სიმღერა „ვანკატანკა“ ბეთხოვენის სიმფონიას არ ჩამოუვარდებოდა. ბეთხოვენი, რაფაელი და დახელოვნებული მზარეული ერთი და იგივე იყო· და პოეზია ხომ „თოხლოდ მოხარშული წაღებია“ (Сапоги въ смятку).

უნდა ვსთქვათ, რომ იშვიათად იზიარებდა ნამდვილი ხელოვანი სიტყვისა ამ აზრებს და პოეტურ შემოქმედების პროცეს არ ზღუდავდა ამ ვიწრო ფორმულებით. თავი და თავი შეცდომა უტილიტარისტების ის არის, რომ ისინი არ ხედავენ ესთეტიურ შემოქმედების სრულ დამოუკიდებლობის ხასიათს, ე. ი. არ ხედავენ იმას, რომ სურათებით და სახეებით აზროვნება ერთი ფსიხიური პროცესია, ხოლო სილოგიზმებით აზროვნება მეორე ხასიათის პროცესია. ამ ორ პროცეს ერთმანეთში ურევენ, უკეთ ვთქვათ, ესთეტიურ შემოქმედების პროცეს უქვემდებარებენ რაციონალურ აზროვნებას. ხელოვნებაში ორი მომენტია მისაღები მხედველობაში: ერთი ესთეტიური შემოქმედება, მეორე სილოგისტური აზროვნება. ჩემი აზრი სწყვეტს იმას, თუ რას შეევხები ჩემს ნაწარმოებში. ხალხის დაბეჩავების მდგომარეობას, ვარდბულბულს თუ ბუნების საიდუმლოების საგანს). ჩემი ესთეტიური შემოქმედების პროცესის შემწეობით სწყდება მეორე საკითხი, ის თუ როგორ იქნება აღსრულებული და გამოსახული ჩემი აზრის მიერ არჩეული საგანი. ორივე პროცესი ფსიხიურის სიცოცხლისა უნდა იყოს ბუნებრივად გადაბმული, გაერთიანებული ერთძანეთში. და თუ მე სურათიან აზროვნებაში მოვინდომე ჩაქსოვა სილოგისტიურის აზროვნებისა, ხელოვნება ხიანდება და ჰქრება. აი სწორეთ ამიტომაც არის, რომ ნამდვილი პოეტი ხელოვანი ის კი არ არის, ვინც, ვსთქვთ, მარტო მოქალაქობრივ მოტივებს, ან მარტო მეტაფიზიკურ საკითხებს ჰსახავს თავის ნაწარმოებში, არამედ ის, ვისაც ძალუძს სურათებით და სახეებით აზროვნება, ვინც აღვიძებს ადამიანში ინტელეკტუალურ ემოციასთან ერთად ესთეტიურ ემოციას. სწორედ ამიტომ, სიმბოლისტობა და რეალისტობა კი არა ჰქმნის პოეტს პოეტად, არამედ ის შემოქმედებითი, ასე ვსთქვათ, სინტეტიური აზროვნების ნიჭი, რომლითაც დაჯილდოვებულია ადამიანი. ვინც ამ შემოქმედებით ნიჭს მოკლებულია, არც თქვენი კეთილი აზრები და მაღალი იდეალები, არც თქვენი სურვილი ხალხის სამსახურისა, სამყოფი არ იქნება ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოების შექმნისათვის.

სხვა მორიგ საკითხთა შორის მესამოციანებმა წამოაყენეს საკითხი მიწის საერთო მფლობელობის შესახებ. ამ საგნის გამო ჩვენს მწერლობაში იყო მქრთალი გახმაურება. მაგრამ რადგან ეს საგანი შემდეგშიაც (მეოცე საუკუნის დასაწყისში) გახდა ჩვენს მწერლობაში საკამათო საგნად, ამიტომ საჭიროა უფრო ვრცლად გავეცნოთ იმას, თუ როგორ იყო დაყენებული იგი რუსთის ლიტერატურაში.

არჩილ ჯორჯაძე.

პ. ს. დოროშენოვის

მაღაზიებში:

1) **უმთავრესი** სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა. **ტელეფ. № 583.**

2) **იაროსლავის მაღაზ.** მიხეილის ქ., ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, **ტელეფ. № 838.**

ყოველ დღე მოგვდის

ახალ-ახალი საქონელი

საგაზაფხულო და **საზაფხულო სეზონისა:**

1. აბრეშუმეულისა და შალეულობის განყოფილებაში
2. მაუდეულის განყოფილებაში.
3. ბამბეულის ფართლის განყოფილებაში.

შაბათს, 3 მარტს,

ნარწენების გაყიდვა

უდიდეს ფას დაკლებით.

ქალაქ გარეთელ მეიდველთ ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ

დაუყოვნებლივ ეგზავნებათ.

(1.1135.1)

პ. დოროშენოვი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.